

გარანტირებული
სიმძლავრის წყაროს
ტესტირების ტექნიკური
ინსტრუქცია

დამტკიცებულია შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“,
2010 წლის 8 ოქტომბრის _____ # 134 ბრძანებით

1. მოქმედების სფერო

- 1.1 ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირების ტექნიკური ინსტრუქცია (შემდგომში „ინსტრუქცია“) შემუშავებული და დამკვიცებულია შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ (შემდგომში „დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი“) მიერ „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ (შემდგომში „ბაზრის წესები“) მე-19¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირების (შემდგომში „ტესტირება“) იმ ტექნიკურ ასპექტებს, რომლებიც არ არის აღწერილი ბაზრის წესებში.
- 1.2 წინამდებარე ინსტრუქცია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის და გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ტესტირების მომზადების, ჩატარებისა და მისი შედეგების განსაზღვრის პროცესებში.
- 1.3 ინსტრუქცია შედგენილია გარანტირებული სიმძლავრის წყაროებთან შეთანხმებით.
- 1.4 ბაზრის წესების მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარანტირებული სიმძლავრე წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ გარანტირებული სიმძლავრის წყაროების მიერ ბაზრის წესების შესაბამისად უზრუნველყოფილ სიმძლავრეს, მათ შორის:
 - 1.4.1 გარანტირებული სიმძლავრის იმ წყაროს მიერ უზრუნველყოფილი სიმძლავრე, რომელსაც, სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად, გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაცია შეუძლია არაუმეტეს 25 წუთისა და მოთხოვნილი სიმძლავრის აღება - არაუმეტეს მომდევნო 35 წუთისა;
 - 1.4.2 გარანტირებული სიმძლავრის იმ წყაროს მიერ უზრუნველყოფილი სიმძლავრე, რომელსაც, სადგურის ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად, გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაცია შეუძლია არაუმეტეს 24 საათისა, მოთხოვნილი სიმძლავრის აღება - არაუმეტეს მომდევნო 12 საათისა.
- 1.5 ტესტირებასთან დაკავშირებული და მისი შედეგებიდან გამომდინარე, ელექტროენერგეტიკული სისტემის იმედიანობასთან, მდგრადობასთან და სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მიღებული და დამტკიცებული ელექტროენერგეტიკული სისტემის მართვის შესაბამისი წესებითა და ინსტრუქციებით.

1.6 გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფისათვის მზადყოფნის განაცხადების წარდგენის პროცედურები, განხილვის ვადები და ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განსაზღვრულია ბაზრის წესებით.

2. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირება

2.1 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნა მოწმდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ტესტირების გზით.

2.2 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირება წარმოადგენს პროცესს, რომელიც ადასტურებს ბაზრის წესებითა და წინამდებარე ინსტრუქციის 1.4 პუნქტის 1.4.1. და 1.4.2 ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისთვის გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მზადყოფნას.

2.3 ტესტირება ხდება ბაზრის წესებისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შემუშავებული წინამდებარე ტექნიკური ინსტრუქციის საფუძველზე.

2.4 ტესტირება ხორციელდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ან გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მოთხოვნით. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნით სიმძლავრის წყაროს ტესტირება უნდა ჩატარდეს არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

2.4¹ გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მიერ ტესტირების მოთხოვნის დროს, თუ მოთხოვნა კეთდება არასამუშაო საათებში/დღეებში, წყარო ვალდებულია სათანადოთ შევსებული და ხელმოწერილი „გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის განაცხადისა“ და შესაბამისი წერილის (რომელშიც უნდა იყოს მითითებული ავარიული გამორთვის მიზეზი, ჩატარებული სამუშაოების ჩამონათვალი და მოთხოვნა ჩაუტარდეს წყაროს ტესტირება) სკანირებული ვერსიები გამოაგზავნოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, შემდეგ მისამართზე: test.capacity@gse.com.ge, ხოლო ორიგინალების წარმოდგენა შეუძლია მოგვიანებით.

2.5 ამოღებულია; (07.07.2017 N353 ბრძანებით)

2.6 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მოთხოვნით ტესტირება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

2.6.1 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებების შეკეთების დასრულების შემდეგ.

2.6.2 იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული სიმძლავრის წყარო ტესტირების დროს შესაბამისი სადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში ვერ უზრუნველყოფს სისტემასთან სინქრონიზაციას და/ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის აღებას და/ან შენარჩუნებას ინსტრუქციის 2.8 პუნქტით დადგენილი პირობებითა და ვადებში;

2.6.3 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ავარიული გაჩერების შემთხვევაში;

- 2.6.4 იმ შემთხვევაში, თუ გარანტირებული სიმძლავრის წყარო დისპეტერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნიდან ინსტრუქციის 2.8 პუნქტით დადგენილი პირობებითა და ვადებში შესაბამისი სადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში ვერ უზრუნველყოფს სისტემასთან სინქრონიზაციას და/ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის აღებას და/ან შენარჩუნებას;
- 2.7 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს არ შეუძლია ტესტირების მოთხოვნა:
- ა) თუ ტესტირება უკვე მოთხოვნილია დისპეტერიზაციის ლიცენზიატის მიერ.
 - ბ) მის მფლობელობაში არსებული წარმოების საშუალებების ტექნიკური შესაძლებლობებისა და პარამეტრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის დისპეტერიზაციის ლიცენზიატისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში.
- 2.8 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირებით უნდა დადასტურდეს:
- 2.8.1 ამ ინსტრუქციის 1.4.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი სადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში, გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაციის შესაძლებლობა არაუმეტეს 25 წუთისა, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის განსაზღვრული სიმძლავრის აღების შესაძლებლობა - არაუმეტეს მომდევნო 35 წუთისა და დატვირთვის შენარჩუნების შესაძლებლობა - არანაკლებ 1 და არაუმეტეს 24 საათისა;
- 2.8.2 ამ ინსტრუქციის 1.4.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამისი სადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში, გაჩერებული მდგომარეობიდან სისტემასთან სინქრონიზაციის შესაძლებლობა - არაუმეტეს 24 საათისა, საქართველოს მთავრობის მიერ შესაბამისი გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის განსაზღვრული სიმძლავრის აღების შესაძლებლობა - არაუმეტეს მომდევნო 12 საათისა და დატვირთვის შენარჩუნების შესაძლებლობა - არანაკლებ 1 და არაუმეტეს 24 საათისა;
- 2.9 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირების დღეს და ხანგრძლივობას განსაზღვრავს დისპეტერიზაციის ლიცენზიანტი ბაზრის წესებისა და ამ ინსტრუქციის მოთხოვნებისა და სისტემაში არსებული რეჟიმების გათვალისწინებით.
- 2.10 ამოღებულია; (07.07.2017 N353 ბრძანებით)
- 2.11 გარანტირებული სიმძლავრის წყაროებს გააჩნიათ ვალდებულება დისპეტერიზაციის ლიცენზიანტს წარუდგინონ ტესტირებასთან და სადგურის ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

2.11.1 აირტურბინული ელექტროსადგურის შემთხვევაში:

- 2.11.1.1 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საშუალო და უშუალოდ ტესტირების დროს გარემოს ტემპერატურის მაჩვენებლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);
- 2.11.1.2 ტესტირების დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);
- 2.11.1.3 ავარიული გამორთვის დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);
- 2.11.1.4 კომპრესორის ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად);
- 2.11.1.5 ტურბინების ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად).

2.11.2 ორთქლძალოვანი ელექტროსადგურის შემთხვევაში:

2.11.2.1 #3 ენერგობლოკისთვის

- ა) ტესტირების დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);
- ბ) ავარიული გამორთვის დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);
- გ) ქვაბის ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად);
- დ) ტურბინის ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად).

2.11.2.2 #4 ენერგობლოკისთვის

- ა) ტესტირების დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);
- ბ) ავარიული გამორთვის დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);
- გ) ქვაბის ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად);

დ) ტურბინის ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად).

2.11.2.3 #9 ენერგობლოკისთვის:

ა) ტესტირების დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);

ბ) ავარიული გამორთვის დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);

გ) ქვების ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკურ დოკუმენტაცია (ერთჯერადად);

დ) ტურბინის ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკურ დოკუმენტაცია (ერთჯერადად).

2.11.3 კომბინირებული ციკლის თბოსადგურის შემთხვევაში:

2.11.3.1 საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საშუალო და უშუალოდ ტესტირების დროს გარემოს ტემპერატურის მაჩვენებლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);

2.11.3.2 ტესტირების დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);

2.11.3.3 ავარიული გამორთვის დროს სადგურის ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლები და ოპერატიული ჟურნალების ჩანაწერების ასლები (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში);

2.11.3.4 კომპრესორის ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად);

2.11.3.5 ტურბინების ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად).

2.11.3.6 ქვების ექსპლუატაციისა და გაშვების ტექნიკური დოკუმენტაცია (ერთჯერადად);“

3. გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირების შედეგები

3.1 გარანტირებული სიმძლავრის წყარო ტესტირებას გაივლის იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი წყარო, მისი ტექნიკური მახასიათებლებიდან გამომდინარე, პასუხობს ამ ინსტრუქციის 2.8.1 ან 2.8.2 მოთხოვნებს.

3.2 დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში აცნობოს გარანტირებულ სიმძლავრის წყაროს და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს ჩატარებულ ტესტირებისა და მისი შედეგების შესახებ, ან მოითხოვოს ტესტირებასთან დაკავშირებული ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული

დამატებითი ინფორმაცია, რომლის მიღებიდან 3 სამუშაო დღეში უნდა აცნობოს ტესტირების შედეგების შესახებ ამ პუნქტში მოყვანილ პირებს.

3.3 ტესტირების დროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ავსებს დამტკიცებულ ფორმებს:

ა) ელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის მზადყოფნის შემოწმების ფორმას;

ბ) გარანტირებული სიმძლავრის წყარო ტესტირების შესახებ ინფორმაციის ფორმას

3.4 ინსტრუქციის 3.3 პუნქტში მოყვანილი ფორმები წარმოადგენს ამ ინსტრუქციის დანართებს.

3.5 ტესტირების შედეგების შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი მსჯელობს მის ხელთ არსებული გამზომი და ჩამწერი მოწყობილობების მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

3.6 გარანტირებული სიმძლავრის წყარო უფლებამოსილია და, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია წარმოადგინოს მის ხელთ არსებული ჩამწერი და გაზომვითი მოწყობილობების ჩანაწერები და მონაცემები.

3.7 თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და წყაროს შორის ტესტირების შედეგებთან დაკავშირებით წარმოიშვება აზრთა სხვაობა, მაშინ გარანტირებული სიმძლავრის წყარო ვალდებულია საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე არაუგვიანეს 1 დღისა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წარმოადგინოს მისი მართებულობის დამადასტურებელი ჩანაწერები ან/და დოკუმენტები.

3.8 თუ ამ ინსტრუქციის 3.7 პუნქტში მოყვანილი დამადასტურებელი დოკუმენტები არ იქნება წარმოდგენილი დროულად (მათ შორის ტესტირების საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჩატარების შემთხვევაში) ან/და წარმოდგენილი ინფორმაცია არ გააბათილებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მონაცემებს, მაშინ უპირატესობა ენიჭება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მონაცემებს.

3.9 აღნიშნული გარემოება არ ზღუდავს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს გააგრძელოს საკითხის განხილვა, როგორც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან, ასევე სხვა შესაბამის უწყებებში.

4. დანართები:

4.1 ელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის მზადყოფნის შემოწმების ფორმა (დანართები 1.1;1.2 და 1.3);

4.1.1.1 თბოელექტროსადგურების (## 3, 4, 9 ენერგობლოკები) შემთხვევაში - დანართი #1.1;

4.1.1.2 აირტურბინული ელექტროსადგურის შემთხვევაში - დანართი #1.2.

4.1.1.3 კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის შემთხვევაში - დანართი #1.3.

- 4.2 გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ტესტირების შესახებ ინფორმაციის ფორმა - დანართი #2.
- 4.3 საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისი #193 დადგენილება „საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ.

შ.პ.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (დანართი 1.1)

ელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის მზადყოფნის შემოწმების ფორმა.N
თბოელექტროსადგურის ბლ N-3, 4, 9 შემთხვევაში.

ელექტროსადგურის დასახელება: _____

ბლ-N _____

ტესტირების დაწყების დრო /რიცხვი/თვე/წელი/ _____

საწარმოს მხრიდან ოპერატიული მოლაპარაკების წარმმართველი პირი

თანამდებობა _____ გვარი, სახელი _____

გაშვებაზე განკარგულების გაცემის დრო (რიცხვი/საათი): _____

სისტემაში ჩართვის დრო (რიცხვი/საათი): _____

ტექნიკურად მინიმალური სიმძლავრეზე გასვლის დრო (რიცხვი/საათი/სიმძლავრე) : _____

თბოენერგობლოკის დატვირთვის მაქსიმალურ სიმძლავრეზე გასვლის დრო

(რიცხვი/საათი/სიმძლავრე) : _____

მაქსიმალური დატვირთვის შენარჩუნების დრო (საათი): _____

გაჩერებაზე განკარგულების გაცემის დრო (საათი): _____

თბოენერგობლოკის გაჩერების დრო (საათი): _____

დატვირთვის შენარჩუნების დრო (მაქსიმალური დატვირთვის აღებიდან სრულ გაჩერებამდე).(საათი): _____

ელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის მზადყოფნის შემოწმების პროცესში
ენერგობლოკის ავარიული გაჩერების შემთხვევაში.

მიზეზი: _____

რიცხვი/თვე/წელი _____

ხელმოწერა:

უფროსი დისპეტჩერი: _____

დისპეტჩერი: _____

შ.პ.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (დანართი 1.2)

ელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის მზადყოფნის შემოწმების ფორმა.N

აირტურბინული ელექტროსადგურის შემთხვევაში.

ტესტირების დაწყების დრო /რიცხვი/თვე/წელი/ _____

საწარმოს მხრიდან ოპერატიული მოლაპარაკების წარმმართველი პირი

თანამდებობა _____ გვარი, სახელი _____

გაშვებაზე განკარგულების გაცემის დრო (საათი): _____

აირტურბინის მიერთების დრო (საათი):

აირტურბინა N1(დრო): _____ აირტურბინა N2(დრო): _____

აირტურბინების ტექნიკურად მინიმალური ჯამურ სიმძლავრეზე გასვლის დრო (საათი)/სიმძლავრე(მვტ) : _____

მათ შორის:

აირტურბინა N1(მვტ): _____ აირტურბინა N2(მვტ): _____

აირტურბინული ელექტროსადგურის დატვირთვის ჯამურ მაქსიმალურ სიმძლავრეზე გასვლის დრო(საათი)/სიმძლავრე(მვტ) : _____

მათ შორის:

აირტურბინა N1(მვტ): _____ აირტურბინა N2(მვტ): _____

მაქსიმალური დატვირთვის შენარჩუნების დრო (საათი): _____

გაჩერებაზე განკარგულების გაცემის დრო (საათი): _____

აირტურბინული ელექტროსადგურის გაჩერების დრო (საათი):

აირტურბინა N1(დრო): _____ აირტურბინა N2(დრო): _____

დატვირთვის შენარჩუნების დრო (მაქსიმალური დატვირთვის ალბიდან სრულ გაჩერებამდე) (საათი): _____

ელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის მზადყოფნის შემოწმების პროცესში ენერგობლოკის ავარიული გაჩერების შემთხვევაში.

მიზეზი: _____

რიცხვი/თვე/წელი _____

ხელმოწერა: უფროსი დისპეტჩერი: _____ დისპეტჩერი: _____

შ.პ.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (დანართი 1.3)

ელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის მზადყოფნის შემოწმების ფორმა.N
კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის შემთხვევაში:

ტესტირების დაწყების დრო /რიცხვი/თვე/წელი/ _____

საწარმოს მხრიდან ოპერატიული მოლაპარაკების წარმმართველი პირი

თანამდებობა _____ გვარი, სახელი _____

გაშვებაზე განკარგულების გაცემის დრო (საათი): _____

თბოელექტროსადგურის მიერთების დრო (საათი):

აირტურბინა N11(დრო): _____ აირტურბინა N12(დრო): _____

ორთქლის ტურბინა (დრო): _____

თბოელექტროსადგურის ტექნიკურად მინიმალურ ჯამურ სიმძლავრეზე გასვლის დრო (საათი)/სიმძლავრე(მვტ) : _____

მათ შორის:

აირტურბინა N11(მვტ): _____ აირტურბინა N12(მვტ): _____

ორთქლის ტურბინა (მვტ): _____

თბოელექტროსადგურის დატვირთვის ჯამურ მაქსიმალურ სიმძლავრეზე გასვლის დრო(საათი)/სიმძლავრე(მვტ) : _____

მათ შორის:

აირტურბინა N11(მვტ): _____ აირტურბინა N12(მვტ): _____

ორთქლის ტურბინა (მვტ): _____

მაქსიმალური დატვირთვის შენარჩუნების დრო (საათი): _____

გაჩერებაზე განკარგულების გაცემის დრო (საათი): _____

თბოელექტროსადგურის გაჩერების დრო (საათი):

აირტურბინა N11(დრო): _____ აირტურბინა N12(დრო): _____

ორთქლის ტურბინა (დრო): _____

დატვირთვის შენარჩუნების დრო (მაქსიმალური დატვირთვის აღებიდან სრულ გაჩერებამდე) (საათი): _____

ელექტროსადგურის გარანტირებული სიმძლავრის უზრუნველყოფის მზადყოფნის შემოწმების პროცესში
ენერგობლოკის ავარიული გაჩერების შემთხვევაში.

მიზეზი: _____

რიცხვი/თვე/წელი _____

ხელმოწერა: უფროსი დისპეტჩერი: _____ დისპეტჩერი: _____

(დანართი 3)



**საქართველოს მთავრობის
დადგენილება**

№ 193 2010 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი
საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში
გარანტირებული სიმძლავრისა და გარანტირებული
სიმძლავრის წყაროების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ (სსმ, 2010 წელი, №35, ნაწილი I, მუხლი 213) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირების მიხედვით, განსაზღვროს გარანტირებული სიმძლავრის წყაროები, ამ წყაროების მიერ უზრუნველყოფილი მინიმალური გარანტირებული სიმძლავრეები და გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდები:

გარანტირებული სიმძლავრის წყაროები (წარმოების დოკუმენტაცია)	თბილქქროსსადგურის დასახლება	გარანტირებული სიმძლავრე (მგვ-ში)	გარანტირებული სიმძლავრით უზრუნველყოფის პერიოდი
1. შპს „ბაქვალი ენერჯეტიკა“	ბარდაბნის თბილქქროსსადგურის 399 მწვერვალი	180	2010 წლის 1 სექტემბრიდან - 2011 წლის 1 სექტემბრამდე
2. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“	ბარდაბნის თბილქქროსსადგურის 393 მწვერვალი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან - 2011 წლის 1 სექტემბრამდე

კორპორაცია	გარდაბნის თბილქქროსსადგურის 394 მწვერვალი	100	2010 წლის 1 სექტემბრიდან - 2011 წლის 1 სექტემბრამდე
3. სს „ინჯუა ინჯუა“	აბქურბანდის ელექტროსადგური	80	2010 წლის 1 სექტემბრიდან - 2014 წლის 1 სექტემბრამდე

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი გახარია